სახელწიფოს როლი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში

ნია სანიკიძე

გვანცა იორამაშვილი

თორნიკე საჯაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ბრეგაძე, ეკონომიკისა და ფინანსების მაგისტრი, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნია სანიკიძე

გვანცა იორამაშვილი

თორნიკე საჯაია

20.04.2015

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია მცირე და საშუალო ბიზნესის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში, როგორც ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონის განმსაზღვრელი, მოსახლეობისათვის შემოსავლის მიღების მნიშვნელოვანი წყარო და დასაქმების საშუალება. აღწერილია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების აქტუალურობა და უმნიშვნელოვანესი როლი ქვეყნისთვის.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე გაანალიზებულია საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ხელშეწყობას რამდენად ეფექტურად შეუძლია ქვეყნისათვის უაღრესად პრობლემატური საკითხების გადაწყვეტა. ასევე, მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტსა და სხვადასხვა სოციალურ–ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტაში.

ნაშრომი ხაზს უსვამს საქართველოს მთავრობის მიერ მსს–ის მხარდაჭერისა და წახალისების მნიშვნელობას, რადგან განვითარებულ ქვეყნებში სწორედ ამ ტიპის ბიზნესზე მოდის მშპ–ის ნახევარზე მეტი. მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროს განვითარების დონით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება, როგორც ინდუსტრიულად განვითარებულ, ისე განვითარებად და პოსტკომუნისტური ეკონომიკის მქონე ბევრ ქვეყანას, რასაც ნაშრომში მოცემული სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს. კვლევის ამოცანას წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობისა და სპეციალური ადგილობრივი პროგრამების გაანალიზება, ასევე მსს-ის ბიზნეს აქტივობის დაბალი მაჩვენებლების განმაპირობებლი ფაქტორების იდენტიფიცირება. ყურადღება გამახვილებულია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის განვითარებული ქვეყნების მოდელებზე.

ნაშრომში გაანალიზებულია ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, რომელიც ბიზნესგარემოს მიმოხილვის საშუალებას გვაძლევს. კვლევის პროცესში გამოყენებულია შედარებითი დახასიათების მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობის პოლიტიკა შევადაროთ მოწინავე განვითარებულ ქვეყნებს.

ნაშრომში განხილულია ტურიზმის ინდუსტრია, რომელიც განსაკუთრებულ ეკონომიკურ სექტორს წარმოადგენს საქართველოში და მნიშნელოვან დამსაქმებელს მცირე და საშუალო ბიზნესში. კვლევის პროცესში შევისწავლეთ საქართველოში

მცირე და საშუალო ბიზნესის კუთხით წარმოებული პოლიტიკა და გარემო, რომელშიც მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს უწევთ ფუნქციონირება. კვლევის მეთოდების მეშვეობით განხორციელდა მსს-ის პრობლემატიკის სპექტრსა და მეწარმეთა მიერ ბიზნესგარემოს შეფასების შესწავლა.

განხილულია რამდენად პროგრესირებადი და ეფექტიანია მსს–ის მდგომარეობა საქართველოში წლების მიხედვით, შესწავლილია მეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები, ასევე გაანალიზებულია მეწარმეთა შეფასებები სამეწარმეო გარემოს ცვლილების შესახებ.

კვლევა არაერთხელ უსვამს ხაზს სახელმწიფოს მიერ მცირე და საშუალო მეწარმეობის აქტიურ მხარდასაჭერად ეფექტიანი მექანიზმების პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობის საკითხს, რომლითაც შესაძლებელი გახდება ქვეყანაში არსებული მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის მოგვარება.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის შესწავლისა და მისი განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავების აქტუალური აუცილებლობა არსებობს. სწორედ, აღნიშნულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით განვახორციელეთ არსებული მდგომარეობის ანალიზი ქვეყანაში, რაც მიგვაჩნია, რომ კიდევ ერთ ნაბიჯს წარმოადგენს საქართველოში მეწარმეობის მხარდაჭერის ეფექტიან პროგრამათა შემუშავებაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ბიზნესი, განვითარება, საწარმო, სახელმწიფო, ხელშეწყობა, ეკონომიკა, ეფექტიანობა, პოლიტიკა.

Abstract

The paper considers the role and importance of small and midsize business in the modern world, as a definer of any country's economic development level and an important source of income and employment opportunities for population. This paper describes urgency and importance of small and midsize business development for a country.

The goal of the research is to analyze the development of the small and medium-sized enterprises in Georgia and study it's effectiveness in solving problematic issues for the country, as well as, its contribution to the country's GDP and various socio-economic problems.

The paper shows that the government's support and encouragement for SME is very important, because more than half of GDP in developed countries is created in these type of businesses. The level of development of small and midsize business in Georgia is significantly lower than in many countries with industrialized, developing or post-communist economy. This is confirmed by the statistic data in this paper. The goal of the research is to analyze the Georgian legislation and the special local programs, as well as the reasons of SME business activity's low rate. The focus is on the promotion of models of SMB in developed countries.

The paper analyzes official statistics, which allows us to review the business environment. The comparative characterization method is used as a research method, which allows comparing Georgia's SME policy with advanced and developed countries.

Paper also considers the tourism industry, which represents Georgia's exclusive economic sector and is the most important employer in small and midsize business. During the research we studied policy and environment of SMB in Georgia, in which small and medium-sized enterprises operate. SMEs problematical range and entrepreneurs' valuation of business environment was examined through the research methods.

The paper discusses how progressive and effective SME's sector has been in Georgia throughout the years. In addition obstacles in entrepreneurship's development are identified, along with their analysis of entrepreneurial environments change.

The research involves the necessity of support in effective policy-making mechanism in small and medium-sized enterprises on the government's behalf, which will help to solve many social and economical problems in the country.

Georgia is in need of a research concerning small and midsize business' condition and it needs recommendation on the topic of its development. We analyzed the situation in Georgia and this is a first step towards creating effective programs for the support of entrepreneurship in Georgia.

Key Words: business, development, enterprise, state, support, economy, effectiveness, policy.

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენს ხელმძღვანელს, გიორგი ბრეგაძეს, რომელმაც მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია ნაშრომის თემატიკის კონკრეტიზაციასა და მიზნების ფორმულირებაში, ასევე კვლევითი პროცესის დიზაინსა და მართვაში. მისმა რეკომენდაციებმა დიდი როლი შეასრულა ნაშრომის მომზადებაში.

ასევე, მადლობას ვუხდით საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევისა და დაგეგმვის სამმართველოს კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისათვის მონაცემების სახით და გამოკითხვაში მონაწილე ყველა რესპოდენტს, რომლებიც ენთუზიაზმით იყვნენ ჩართულნი ინტერვიუს პროცესში.